პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 კვირა 8 ივნისი № 133 (16259) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

15 ივნისი — საბჭოების არჩევნების დღე

არჩევნების შესახებ

უოველი დღე — დამკვრელური!

8 ივნისს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღე

## ხუთწლედი — ვადამდე!

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვათ 200 მილიონი მანეთის პროდუქცია — ასეთი ვალდებულება იკისრეს საქართველოს სამრეწველო მანქანათა კოლექტივებმა. ამ პატრიოტულ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები და თავის მხრივ იკისრეს დავალების გადამეტებით დაამზადონ 27 მილიონი მანეთის ნაწარმი. ხუთ თვეში უკვე გამოშვებულია 13.535 ათასი მანეთის პროდუქცია. აღებული ტემპი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა: რეალიზაციაში — 11,9 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებაში — 10,1 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს სისტემის 55 საწარმოდან ხუთი თვის გეგმა მხოლოდ ერთმა ვერ შეასრულა.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების ღირსების საქმეა არ შეანელონ აღებული შრომის სწრაფი ტემპი და წლიური გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულება სამშობლოს ვადამდე უპატაკონ და ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ პარტიის XXV ყრილობას.

## მოსავალი ამოწმებს კომუნისტებს

ბაღის დრო დაძაბულ შემოქმედებითს შრომაში და ყოველი დღე სულ უფრო გვაახლოებს პარტიის მორიგ XXV ყრილობას. ახლა თვითეულ საბჭოთა ადამიანს ერთი ფიქრი ამოძრავებს: წარმატებით დამამთავროს მეცხრე ხუთწლედი, ღირსეულად შეხვდეს ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია და ზეგეგმით დაამზადონ 120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები! ამ დევიზით შრომობენ და ამოწმებენ თავიანთ ნაბიჯებს საქართველოს მშრომელები ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

ახლა სოფლად მუშაობის ცხარე დღეებია. ქუდზე კაცი გასულა ჩაის ხვიერდოვან პლანტაციებში, მწვანედ მოხასხახე სიმინდის ყანებში, ვენახებში, ხეხილის ბაღებსა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში. მომკელს ელის ზღვასავით მღელვარე ჩვენი არსობის პური. პირველი შედეგები დამამიდებელია. მოზღვავებულ ჩაის ფოთოლს დიდი შემართებით კრეფენ მეჩაიეები, რომლებმაც არნახულ მაჩვენებელს მიაღწიეს — 3 ივნისისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს ეგზმა-ვალდებულებით გათვალისწინებული ნედლეულის 40,4 პროცენტი.

უხვი მოსავლით გაგვიხარეს გული მებოსტნეებმა და მეკარტოფილეებმა.

საერთოდ წლეულს მოსავალს ჩვენში კარგი პირი უჩანს და ეს იმის შედეგად, რომ მინდვრებსა, პლანტაციებსა, ვენახებსა, ხეხილის ბაღებსა და მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოები გაცილებით ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე ოდესმე წინათ. მაგრამ ამინდი როდი ანებივრებს რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მშრომელებს.

— ზაფხული ზამთრის მუშაო, — ამბობს ხალხური სიბრძნე, ამიტომ ახლა ყველაზე მთავარია უზრუნველყოთ მაღალი ორგანიზებულობა, დამკვრელური შრომა მინდვრებში, პლანტაციებში, ვენახებსა, ხეხილის ბაღებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ყოველ მშრომელს ესმოდეს თავისი დიდი პასუხისმგებლობა ახალი მოსავლის ბედისათვის. საჭიროა ყოველმხრივ წვავახალისოთ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი და ამასთანავე გავაძლიეროთ მომთხოვნელობა.

ამ დღეებში შემდგარ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე, რომელმაც განიხილა მიმდინარე ეტაპზე სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა და დასახა მისი ეფექტურობის ამაღლების კონკრეტული გზები, აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არის დიდი დანაკარგები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების სფეროში. მაგალითად, წლეულს მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადამუშავების შეფერხების შემთხვევები იყო ზუგდიდის, ლანჩხუთისა და მეჩაიეობის ზოგიერთ სხვა რაიონში.

ნაკლოვანებებისადმი შერიგება დანაშაულია ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ პურის თვითეულ თავთავს, ყოველ კილოგრამ ჩაის, ყურძნის მტევანსა და ხეხილის ნაყოფს.

პარტიული ორგანიზაციები ფხიზლად უნდა ადევნებდნენ თვალს შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების აუცილებლად შესრულებას, სრულყოფდნენ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ფორმებსა და მეთოდებს, განუხრელად ამკვიდრებდნენ მუშაობის ლენინურ სტილს, სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

სოფლის თვითეულმა კომუნისტმა უნდა გვიჩვენოს მაღალიდეურობის, აქტივობის, თავდადების სანიმუშო მაგალითი, და ეს თვისებები მათ ახლა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოავლინონ სამშობლოს საკეთილღეო შრომაში, მინდობილი საქმისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში, იმის უნარში, რომ აღფრთოვანონ ადამიანები, გამოიდნენ ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვის ინიციატორებად, შეუპოვრად ებრძოლონ ინერტულობასა და უყაირათობას.

ამ უმნიშვნელოვანეს ლენინურ მოთხოვნათა უზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი ეკუთვნის შესრულების კარგად დაყენებულ შემოწმებასა და სისტემატურ, ყოველდღიურ კონტროლს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებები ამ მხრივ თვითეული პარტორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის, ყველა მშრომელის მოქმედების სახელმძღვანელოდ იქცა და თავისი პირველი დადებითი შედეგები მოგვცა.

ახლა მთავარია იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, საზოგადოებრივი წარმოების დიდი ეფექტიანობისათვის გაჩაღებული ბრძოლის წარმატება. ამისათვის კი საჭიროა იდეური გავლენის ყველა საშუალება მოვახმაროთ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას, მშრომელთა ინიციატივის განვითარებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, ნაკისრ ვალდებულებათა აუცილებლად შესრულებას. მშრომელებთან თვითეულმა შეხვედრამ, საუბარმა, თავისი საგნობრიობითა და კონკრეტულობით კეთილი კვალი უნდა დატოვოს ადამიანის სულში. გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში თავისი სიტყვა უნდა თქვას ინტელიგენციამ, ადგილობრივმა და რეს-პუბლიკურმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ.

ივლისის მეორე ნახევარში შედგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი: „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში ს.კ.პ XXIV ყრილობისა და ს.კ.კ.პ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, თვითეულმა კომუნისტმა, ყოველმა მშრომელმა მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდონ ხელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას, ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მეცხოველეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანას, მოსავლის უდანაკარგოდ აღებას.

მოსავლის აღების ამ გადამწყვეტ დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრად უნდა გადაიქცეს საველე კალო. ამ ყოველდღიურად უნდა გაისმოდეს აგიტატორის, პოლიტინფორმატორის, ლექტორის, პოლიტსაგანმანათლებლო დწრისებულებათა მუშაკების მგზნებარე სიტყვა. საველე ფურცლებმა, ლოზუნგებმა, პლაკატებმა, მოწინავე ადამიანთა დაფებმა, სტენდებმა, მათმა წახალისებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების სიჯარობას, მისი შედეგების შესაფასებლად და შრომის საუკეთესო მაგალითის გამეორების შესაძლებლობას.

ახლა, როცა საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა, უფრო ფართო გაჩაქანი უნდა მივცეთ წინასაარჩევნო აგიტაციას, უზრუნველვყოთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ახალი გამარჯვება არჩევნებში.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იბრძვიან ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლისათვის, დამკვრელური შრომით უპასუხებენ მნიშვნელოვან დოკუმენტს — ს.კ.კ.პ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „1975 წლის მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

**ხუთწლედის უკანასკნელი წელი სოფლის კომუნისტთა ყველაზე დიდი გამოცდა იქნება. ამიტომ იმის მიხედვით, თუ როგორ ჩამაბარებენ ამ გამოცდას, იმსჯელებენ ჩვენს შინაურზე, მოწდომებასა და კოლიტიკურ სიმწიფეზე.**

### დეპუტატობის კანდიდატები

## ნოვატორი მძსოველი

რვა წელიწადია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვ წარმოებაში მუშაობს კომკავშირელი ცირა გაფრინდაშვილი. ამ ხნის მანძილზე ყოველი სამუშაო ცვლის დავალებებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

ცირა გაფრინდაშვილი გაერთიანებაში ერთ-ერთი პირველი ჩაება შეჯიბრებაში ხუთწლიანი დავალების ვადამდე შესრულებისათვის და პირობა გაანაღდა — პირადი ხუთწლედი ოთხ წელიწადსა და სამ თვეში დამამთავრა და ახლა 1976 წლის ანგარიშში შრომობს.

— ახალგაზრდა მქსოველი ახლა ერთ-ერთი ყველაზე ენთუზიასტი მუშაკია წარმოებაში — ამბობს გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი ლეილა ვიბლიანი, — იგი მარტო საკუთარ სამუშაო ადგილზე როდი ფიქრობს და ზრუნავს, ნაკლებ არც ის აღელვებს, თუ როგორ შრომობენ სხვები.

ახალგაზრდა მქსოველი ახლა უფრო მეტი ენერგიით შრომობს, რადგან დიდი ნდობა გამოუცხადეს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

სურათზე: ცირა გაფრინდაშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

# სოფლის მშრომელთა ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

### თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**დადგა** ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავლისათვის ბრძოლის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი. სწორედ ახლა წყდება სასოფლო-სამეურნეო წლის საბოლოო შედეგების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ვალდებულებათა შესრულების ბედი. ამიტომ არის, რომ სოფლის მშრომელები, ისინი, ვინც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, შრომას, ენერგიასა და მეცადინეობას არ იშურებენ, რათა მთლიანად მოკრიფონ ყოველივე, რაც მოიწიეს, სახელმწიფოს მიჰყიდონ რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტი.

დამკვრელური შრომით უპასუხეს სოფელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „1975 წლის მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

სახელმწიფომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყო ტექნიკით, ტრანსპორტით, ყველა საშუალებით მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მაგრამ, რაც უნდა დიდი იყოს მატერიალური შესაძლებლობა, საბოლოო ანგარიშით ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანზე, მის ნიჭსა და უნარზე საუკეთესოდ მოიხმაროს ყოველივე, რაც ასე უხვად მიეცა. ადამიანისადმი ყურადღება, ისეთი პირობების შექმნა, რომ მისი შრომა მაღალნაყოფიერი იყოს, ხოლო ყოფა-ცხოვრება და დასვენება — ყოველმხრივ კეთილმოწყობილი, — დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. დეტალურად, ყოველმხრივ უნდა გავითვალისწინოთ საყოფაცხოვრებო სამსახურის, ვაჭრობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის საკითხები, რათა ხელშემწყობი სამუშაო პირობები შეეუქმნათ მეწველებს, მზვნელ-მთესველებს, მებაღეებს, მებოსტნეებს, მეცხოველეებს, ყველას, ვინც ამ დღეებში ძალღონისა და ენერგიის დაუზოგავად შრომობს. ამ ბრძოლაში, მოსავლისათვის, 120 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისათვის ბრძოლაში, დიდმნიშვნელოვანი როლი მეკუთვნებათ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, რომლებმაც იდეოლოგიურად უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მშრომელთა საბრძოლო ამოცანები ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

სოფლად იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც 7 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

თათბირზე მოიწვიეს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები იდეოლოგიურ დარგში, პარტიის საოლქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები, კულტურის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, ეკავშირის მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ.

განსახილველ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ბელინეიშვილმა.

თათბირის მონაწილეებს მოახსენეს აგრეთვე საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგები, რომელიც წლეულს მაისში მოწვეული სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

თათბირზე გამოვიდნენ პარტიის სიღნაღის რაიკომის მდივანი ჯ. გოგიბაშვილი, პარტიის მახარაძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. გოლიაძე, ეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. კობახიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ზ. ლელაშვილი, ხობის რაიონული გაზეთის — „კომუნიზმის მშენებლის“ რედაქტორის მოადგილე ვ. ქორთუა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. გრგიგაშვილი, პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი ბ. კალაევი.

მათ ილაპარაკეს, თუ რა მუშაობა გასწიეს პარტიის საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა „პერიოდში“ სოფლის მშრომელთა მომსახურების ორგანიზაციისათვის, ილაპარაკეს პროპაგანდისტულ და იდეოლოგიურ ღონისძიებებზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს წლევანდელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას.

თათბირის მონაწილეთა მთავარი ყურადღება იმას მიექცა, რომ უნდა გაძლიერდეს მასობრივი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, უნდა გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება, რათა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში უზრუნველყონ დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება, და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. შ. ყარყარაშვილი. (საქინფორმი).

## მესტიის რაიონის უმაღლესი განვითარებისათვის

### თათბირი საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომში

**მესტია**, (საქინფორმი). 6 ივნისს აქ გაიმართა რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 აგვისტოს დადგენილების „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობისა და მეცხრე ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელ წელს მესტიის რაიონის მშრომელების წინაშე მდგომ ამოცანებს.

თათბირზე ამ საკითხების ირგვლივ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. სარალიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: იფარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გასვიანმა, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მესტიის № 16 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ჯ. ქურდიანმა, ბეჩოს საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კვიციანმა, ცხუმარის აგროგანყოფილების მმართველმა კ. საღლიანმა, საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კახიანმა, უშგულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ნიკარაძემ, მშრომელთა დეპუტატების მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. უშხვანმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

## სსრ კავშირში საოგზაურო

**7 ივნისს** მოსკოვიდან თბილისს გაემგზავრნენ მათი სამეფო უმაღლესობანი ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი და ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგინია ჟოზეფინა-შარლოტა. საპატიო სტუმრები საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით. თბილისის გარდა, ისინი სამშობლოში გამგზავრებამდე ეწვევიან ლენინგრადს.

ლუქსემბურგისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო სტუმრები თვითმფრინავის კიბემდე მიაცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზურომამ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სსრ კავშირის სამი გვარეობის შეიარაღებული ძალები: ქვეითი ჯარისაცების, მფრინავების, მეზღვაურების საპატიო ყარაული. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ვ. პოდგორნიმ და ლუქსემბურგის სახელმწიფოს მეთაურმა ჩაუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს.

საპატიო სტუმრები გააცილეს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა. (საკდესი).

7 ივნისს თბილისში ჩამოვიდნენ მათი სამეფო უმაღლესობანი — ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი და ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგინია ჟოზეფინა-შარლოტა. ხურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში. ო. თურქიას და ა. სტაშენის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## საპატიო სტუმრები საქართველოში

**7 ივნისს** თბილისში ჩამოვიდნენ მათი სამეფო უმაღლესობანი — ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი და ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგინია ჟოზეფინა-შარლოტა, რომლებიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

...საპატიო სტუმრების შესახვედრად თბილისის აეროდრომის საფრენ მოედანზე შეეკრიბნენ ჭალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ლუქსემბურგის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ალმებით, მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები ფ. ა. ანანიაშვილი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ვ. პ. ზედგინიძე, ი. ნ. ციციშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. იბერვდიანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ბ. ა. ჭიკვანიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. ნ. გორდელაძე.

თვითმფრინავი დედამიწაზე დაეშვა. თვითმფრინავის კიბესთან ჰერცოგ ჟანს და მის მეუღლეს შეეგებნენ გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. დ. კიკნაძე.

აქვე იყვნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრები ფ. ა. ანანიაშვილი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები გ. პ. ზედგინიძე, ი. ნ. ციციშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. იბერვდიანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ბ. ა. ჭიკვანიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. ნ. გორდელაძე.

თვითმფრინავი დედამიწაზე დაეშვა. თვითმფრინავის კიბესთან ჰერცოგ ჟანს და მის მეუღლეს შეეგებნენ გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. დ. კიკნაძე.

ბავშვებმა საპატიო სტუმრებს თაიგულები მიართვეს.

ლუქსემბურგის დიდ ჰერცოგთან და ლუქსემბურგის დიდ ჰერცოგინიასთან ერთად ჩამოვიდნენ ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ტორნი, სასახლის მარშალი გი დე მიუზერი, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი პ. ვიურტი, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი შ. რაიპლინგი და სხვები.

მოგზაურობაში საპატიო სტუმრებს ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტრაუტმანისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. ტორჩინავა, საბჭოთა კავშირის ელჩი ლუქსემბურგში ე. ა. კოსარევი.

მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ლუქსემბურგის სახელმწიფოს მეთაური და ლუქსემბურგის ჰერცოგინია ეიროდრომიდან ქალაქში გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

## საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**მინი** სამეფო უმაღლესობა ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი 7 ივნისს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს.

გაიმართა გ. ს. ძოწენიძისა და ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის ჟანის მეგობრული საუბარი. საპატიო სტუმარს გააცნეს საქართველოს ისტორიული წარსული, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის პროგრესი საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ლუქსემბურგის სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლისა და ყოველივე იმის გამო, რაც ნახა და გაიგო რესპუბლიკაში ყოფნის პირველ დღეს.

ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ტორმა აღნიშნა, „შემდეგი ვიზიტის დროს, თუ ასეთი სასიამოვნო შესაძლებლობა მოგვეცა, დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის უფრო დიდ წარმატებებს გავეცნობითო“.

ლუქსემბურგის მხრივ საუბარს ესწრებოდნენ ლუქსემბურგის ელჩი სსრ კავშირში ჟორჟ ლ. დ. ჰაისბურგი, სასახლის მარშალი გი დე მიუზერი, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი პ. ვიურტი, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი შ. რაიპლინგი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტრაუტმანისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე. (საქინფორმი).

## სტუმრები ეცნობიან თბილისს

**მათი** სამეფო უმაღლესობანი ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი და ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგინია ჟოზეფინა-შარლოტა შაბათს ნაშუადღევს ეცნობოდნენ რესპუბლიკის დედაქალაქს. მათ დაათვალიერეს ქალაქის ძველი და ახალი რაიონები, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ყურადღება მიაქციეს, რომ ისინი კარგად ეგუებიან თანამედროვე ნაგებობებს, რომელთა არქიტექტურა აგრძელებს ეროვნულ ტრადიციებს.

საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საპატიო სტუმრები დაესწრნენ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „აისის“ რეპეტიციას. ხოლო ლუქსემბურგის დიდმა ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ განცხადეს, მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მისულმა, სადაც ნორჩმა ფუსკოოსებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა მათ უჩვენეს თავიანთი ოსტატობა.

(საქინფორმი).

## მშრომელთა არჩევნებისწინა კრებები

6 ივნისი — საბჭოების არჩევნების დღე

# პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია

### ამომრჩეველთა შეხვედრა ამხანაგ გ. ს. ძოწენიძესთან

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 44 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეიკრიბნენ შრომის წითელი დროშის ორდენსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სადღესასწაულოდ მორთულ სააქტო დარბაზში. ამომრჩეველები აქ იმისათვის მოვიდნენ, რომ შეხვედროდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავის დეპუტატობის კანდიდატს—რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძეს. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ქალაქ თბილისის № 44 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა ს. ჯორბენაძემ. მან თქვა, რომ საარჩევნო ოლქის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე. ორატორმა მოუწოდა ამომრჩეველებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა დასახელებულ კანდიდატს და ამით ხმა მისცენ საბჭოთა საქართველოს ახალ წარმატებებს, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. სხირტლაძე. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობაზე და გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნების დღეს ოლქის ამომრჩეველები სჯან მისცემენ დირსეულ კანდიდატს —გ. ს. ძოწენიძეს

სიტყვა ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგის დ. გამეზარდაშვილს. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე. ორატორმა მოუწოდა ამომრჩეველებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა დასახელებულ კანდიდატს და ამით ხმა მისცენ საბჭოთა საქართველოს ახალ წარმატებებს, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. სხირტლაძე. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობაზე და გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნების დღეს ოლქის ამომრჩეველები სჯან მისცემენ დირსეულ კანდიდატს —გ. ს. ძოწენიძეს

სიტყვა ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგის დ. გამეზარდაშვილს. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. სხირტლაძე. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობაზე და გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნების დღეს ოლქის ამომრჩეველები სჯან მისცემენ დირსეულ კანდიდატს—გ. ს. ძოწენიძეს

სიტყვა ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგის დ. გამეზარდაშვილს. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. სხირტლაძე. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობაზე და გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნების დღეს ოლქის ამომრჩეველები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — ეროვნული მეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ ბ. ბ. ბერაძეს.

ორატორმა ალაპარაკა ოლქის ამომრჩეველთა ინიციატივით ოლქში ჩატარებული ფერადოვანი, ორიგინალური ფორმებით, ფართო ასპარეზი მიეცა ოლქის ამომრჩეველთა ინიციატივას, ოლქში ჩატარებულ ღონისძიებათა ფერადოვნებამ, ორიგინალურობამ

# ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

**ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ** დიდმა ჰერცოგმა ჟანმა და დიდმა ჰერცოგინამ ეოზეფინა-შარლოტამ 6 ივნისს საუზმე გამართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ლუქსემბურგის მინისტრი ჟ. ტორნი, სხვა ოფიციალური პირნი.

ლუქსემბურგის მხრივ საუზმეზე იყვნენ ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ტორნი, სხვა ოფიციალური პირნი, რომლებიც ჩამოვიან სპატიო სტუმრებს.

საუზმის დროს, რომელშაც ეგობრული ვითარებაში ჩაიარა, ლუქსემბურგის დიდმა ჰერცოგინამ და ნ. ვ. პოდგორნიმ წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

იმავე დღეს კრემლში გიმნაზია საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ტორნი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის ჟანის საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლის გამო.

ხუთშაბათის დროს, რომელშაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ბინიხლეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ლუქსემბურგის ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის ურთიერთობა ვითარდება კეთილნაყოფიერი მიმართულებით ორივე ქვეყნის ხალხთა და ევროპის მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ კვლავაც გააღრმავებენ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის თანამშრომლობას ყველა დარგში, მათ შორის პოლიტიკურ დარგში.

6 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობის სახელით — ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ტორნი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის ჟანის საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლის გამო.

□

**6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ** სტუმრებს წარუდგინეს საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ნაშუადღევს სტუმრებმა დაათვალიერეს ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა.

საღამოს კრემლის ყრილობათა სასახლეში სტუმრებმა ნახეს პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“. ლუქსემბურგისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ანმემბით მორთულ ლოჟაში სპპატიო სტუმრებთან ერთად იყვნენ ნ. ვ. პოდგორნი, პ. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირები.

(საკადესი).

# ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ, ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება **თბილისში, გამარჯვების პარკში დიდების მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.**

დადგენილებაში ნათქვამია: 9 მაისს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის საყოველთაო-სახალხო ღღესასწაულზე, თბილისში გიმნაზიის კიბეებზე ბრონზეა ამოტვიფული ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის ჟანის საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლის გამო.

ხუთშაბათის დროს, რომელშაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ლუქსემბურგის ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის ურთიერთობა ვითარდება კეთილნაყოფიერი მიმართულებით ორივე ქვეყნის ხალხთა და ევროპის მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ კვლავაც გააღრმავებენ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის თანამშრომლობას ყველა დარგში, მათ შორის პოლიტიკურ დარგში.

6 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობის სახელით — ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ტორნი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის ჟანის საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლის გამო.

ხუთშაბათის დროს, რომელშაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ლუქსემბურგის ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის ურთიერთობა ვითარდება კეთილნაყოფიერი მიმართულებით ორივე ქვეყნის ხალხთა და ევროპის მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ კვლავაც გააღრმავებენ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის თანამშრომლობას ყველა დარგში.

6 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობის სახელით — ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ტორნი, ჩამოვიან სტუმრებს.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ**

◆

ბებმა პროპაგანდისტული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ისე წარმართონ, რომ ყოველ მოსწავლეს ღრმად შთაავონონ უცნობი ჯარისკაცის ნეშტის გადმოსვენების **ისტორიული მნიშვნელობა,** როგორც საბჭოთა ხალხის **დიადი გამარჯვების, უმაღლესი თავდადებისა** და **საყოველთაო** მშვიდობისათვის **სწრაფვის** კიდევ ერთი **უტყუარი** საწინდარი; **გაუღვივონ პატივისცემისა** და **სიყვარულის** გრძნობა სოციალისტური სამშობლოს **გმირული** წარსულისადმი, **აქტიურად ჩაებან** მოსწავლე ახალგაზრდობა **კომუნისტური** და სამხედრო-**პატრიოტული** სულისკვეთებით **აღზრდის** მიზნით **გამოცხადებულ** სკავშირო **და** რესპუბლიკურ **კონკურსებში;** რაიონებსა და **ქალაქებში** გმირთა **უკვდავყოფის** ადგილებზე **დაწესონ** მოსწავლე ახალგაზრდობის **შეფობა** და **საპატიო** მორიგეობა.

**დიდი** პატივითა და **სიყვარულით** მოეპყრონ **შინმოუსვლელთა** ოჯახებს; „ნორჩი თემურელები“ **და** კომკავშირელები **აქტიურად ჩაებან** მათდამი ზრუნვა-**დახმარების** საქმეში; **გაკვეთილებზე,** საწერო **თუ** სკოლისგარეშე **მუშაობის** დროს, **პროგრამული** მასალის **სწავლებისას, მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მიზნით პედაგოგიურმა კოლექტივებმა შინაარსიანად, გამიზნულად გამოიყენონ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების თავდადების მაგალითები, კომუნისტური პარტიის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები;** თბილისში სასწავლო-**აღმზრდელობითი** ხასიათის **ექსკურსიების** ჩატარებისას **მარშრუტში** შეიტანონ **გამარჯვების** პარკი, **დიდების** მემორიალი.

**კიდევ** უფრო **უნდა** ამაღლდეს **ზოგადსაგანმანათლებლო** სკოლებში **მხედრული** დიდების **ამსახველი** კუთხეებს, **გალერეებისა** და **მუზეუმების** მუშაობის **დონე,** როგორც **მოსწავლე** ახალგაზრდობის **საბჭოთა** პატრიოტიზმის **სულისკვეთებთ** აღზრდის **ეფექტური** ფორმა **და** მათი **მუშაობა** წარიმართოს **დევიზით** — „**დიდებას** მატიანე!“. **გამარჯვების** პარკში, **სასწავლო** წლის **დამთავრებასთან** **დაკავშირებით,** **სკოლამდელ** **დაწესებულებათა** **უფროსი** ასაკის **ბავშვებისათვის** **გამართოს** **საზეიმო** **დღეები.**

**თბილისში** **წლეულს** **დეკემბერში** **მოეწყოს** **წითელ** **კვალისმაძიებელთა** **პირველი** **რესპუბლიკური** **შეკრება.** **დევიზით** — **„არ ხარ უცნობი, სახელი შენი უკვდავებაა აწ და მარადის!“.**

**ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება **თბილისში, გამარჯვების პარკში დიდების მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.**

დადგენილებაში ნათქვამია: 9 მაისს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის საყოველთაო-სახალხო ღღესასწაულზე, თბილისში გიმნაზიის კიბეებზე ბრონზეა ამოტვიფული ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის ჟანის საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლის გამო.

ხუთშაბათის დროს, რომელშაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ლუქსემბურგის ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის ურთიერთობა ვითარდება კეთილნაყოფიერი მიმართულებით ორივე ქვეყნის ხალხთა და ევროპის მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ კვლავაც გააღრმავებენ საბჭოთა კავშირ-ლუქსემბურგის თანამშრომლობას ყველა დარგში, მათ შორის პოლიტიკურ დარგში.

6 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობის სახელით — ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ტორნი, ჩამოვიან სტუმრებს.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ**

◆

ᲚᲔᲑᲣᲚᲘ შეიარაღებისათვის იხარჯება.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მხარს უჭერენ პრინციპულ პოზიციაში თავიანთ მთავრობებს, რომლებიც მზად არიან დაშალონ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, და ამავე დროს დაშლიან ნატოსაც, ხოლო როგორც პირველი ნაბიჯი, გააქმონ ამ გაერთიანებათა სამხედრო ორგანიზაციები, მაგრამ შეხვედრის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ, სანამ ნატო არსებობს და აძლიერებს თავის სამხედრო პოტენციალს, საჭიროა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაც.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ამოცანა უკვე დიდი ხანია აღარ არის მარტო მთავრობათა და სახელმწიფო მოღვაწეთა საქმე. მშვიდობისმოყვარე ძალები, საზოგადოებრიობის ფართო წრეები სულ უფრო აქტიურად ებრძვიან ჩვენი დროის ამ უმთავრეს ბრძოლაში.

მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის კონგრესის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების ბრიუსელის ასამბლეის ფართო საერთაშორისო რეზონანსი მოწმობს, თუ რაოდენ დიდია ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ საზოგადოებრიობის უფართესი მშვიდობისმოყვარე წრეების წარმომადგენელთა კონსტრუქციული დიალოგის განვითარების შესაძლებლობანი, ideologიური და პოლიტიკური შეხედულებების განსხვავების მიუხედავად.

კონფუციეს დასასრულს ნათქვამია: სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც პრაღაში შეიკრიბნენ, მოეწოდებენ ევროპის ქვეყნების ყველა მშვიდობის მომხრეს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ომის veteranebs, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს, მთელ პროგრესულ, დემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურ ძალებს ყოველნაირად შეუწყონ ხელი მშვიდობისა და თანამშრომლობის ვითარების შექმნის მსოფლიო ასპარეზზე, შეუწყონ ხელი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებას, კიდევ მეტი ძალ-ღონე მოახმარონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას და მისთვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭებას.

# ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

**ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ**

**პრაღა, (საკადესი). ევროპის ხალხთა მშვიდობა, მთელი მსოფლიოს მშვიდობა — ასეთია ჩვენი მთავარი მიზანი, მთელი ჩვენი საქმიანობის ჭეშმარიტი აზრი, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც აქ მიიღეს სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრის მონაწილეებმა. შეხვედრაზე, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მე-20 წლისთავს მიეძღვნა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა საჭიროა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა გავღრმაოთ, უწყვეტი და შეუქცევადი გავხადოთ დაძაბულობის შენელების პროცესი.**

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, უაღრესად საჭირბოროტო ამოცანაა, რომ უმაღლეს დონეზე და უახლოეს ხანში დაამთავროს მუშაობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა.

პოლიტიკური დაძაბულობის შენელების გაღრმავება, ნდობის კლიმატის შექმნა ევროპის ხალხებს შორის, ნათქვამია კომუნიკეში. ჩვენი კონტინენტის საზოგადოებრიობამ მტკიცედ უნდა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი განიარაღებისათვის, რათა მშვიდობიან მიზნებს და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების ინტერესებს მოხმარდეს უზარმაზარი სახსრები, რომლებიც ახლა გამა-

## ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

**ᲚᲘᲡᲑᲝᲜᲘ, (საკადესი). პორტუგალიაში ვიზიტი დაამთავრა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, რომელიც აქ ჩამოვიდა ქალთა დემოკრატიული მოძრაობის მოწვევით ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით.** დედაქალაქის აეროპორტში საბჭოთა სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ შეიარაღებული ძალების მოძრაობის, ქალთა დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლები, აგრეთვე პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ალვარო კუნიალი.

ლისაბონიდან ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა გაფრინდა პარიზს, სადაც მონაწილეობას მიიღებს მასობრივ მიტინგში, რომელსაც აწყობს ფრანგ ქალთა კავშირი.

## ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲑᲭᲝᲨᲘ

# ᲕᲔᲢᲝ ᲓᲐᲐᲓᲔᲡ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 7 ივნისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა უშიშროების საბჭოში კვლავ ვეტო დაადეს რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა პრეტორიის რეჟიმისთვის იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებაზე ემბარგოს შემოღების გზით აღლაგმა იგი და აიძულებინა, რომ შეეწყვიტა ნამიბიის უკანონო ოკუპაცია. ამ ქვეყნებმა ბარშანაც დახმარება გაუწიეს სამხრეთ აფრიკის რეზოლუციას იმით, რომ გამოიყენეს ვეტოს უფლება, როცა უშიშროების საბჭო განიხილავდა წინადადებას გაერიცხთ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან აპარტეიდის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ — 10 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გუშინ ხმა მისცეს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ განხორციელდეს სანქციები, რომლებსაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

კამათმა, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა, ცხადყო, რომ ნამიბიელი ხალხის ბედი დიდად აღელვებს მსოფლიო საზოგადოებრიობას.

# ᲒᲐᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

**ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ** ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქია. იგი წყნარი ოკეანის სანაპიროს მთაგორიან ადგილზეა გაშენებული. მაგრამ ქალაქის გარეგნული მოხიბვლელობის მიღმა ათიათასობით ამერიკელის სიდუხჭირესა და ხვალინდელი დღის უიმედობას დაუსადგურებია.

ქალაქის ქუჩებში არც თუ იშვიათად ნახავთ ასეთ სურათს (მარჯვნივ). ამ ამერიკელ უმუშევარს დილიდან დაღამებამდე უხდება გიტარის დაკვრა, რათა ორიოდე გროში იშოვოს და ქრონიკულ შიმშილს თავი დააღწიოს. სამწუხაროდ, დღითიდღე კლებულობს იმ ამერიკელთა რიცხვი, ვისაც ძალუძს დახმარების ხელი გაუწოდოს მოხეტიალე მუსიკოსს; ნავსაყუდელ „მეშადურის“ შესახსელელთან აღმართული სარკალმო ფარი (სურათზე ქვემოთ მარცხნივ); ტრამვაი სან-ფრანცისკოში დღემდე ტრანსპორტის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა. ტურისტები და ადგილობრივი მცხოვრებლები სიამოვნებით მგზავრობენ ასეთი ღია ვაგონებით.



ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

## ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

# ᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲮᲔᲚᲐ ᲨᲞᲠᲘᲜᲒᲕᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ?

**ᲜᲐᲢᲝᲡ** საბჭოს ბრიუსელის სესიის წინ პარიზში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. მისმა მონაწილეებმა გააკეთეს განცხადება, რომელსაც ხელი ჩასჭიდა დასავლეთის პროპაგანდის ზოგიერთმა ორგანომ. დასავლეთ გერმანიის მემარჯვენე პრესამ და განსაკუთრებით შპრინგერის გაზეთებმა გაჩაღეს ყვირილა „კამპანია ამ მიზნით, რომ კვლავ გაეღრმავებინათ აფეთქები ეგრეთ წოდებული „ბერლინის საკითხის“ გარშემო და ამით დაბრკოლებები შეექმნათ ევროპაში დაძაბულობის შენელების გზაზე.

ამ კამპანიის სამაბი გახდა ის ადგილი ოთხი მინისტრის განცხადებაში, სადაც დადასტურებულია „მთელი ბერლინის“ რაღაც ოთხმხრივი სტატუსი. თუმცა ამ თეზისს დროდადრო იმეორებენ დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენელნი, საჭიროა ახლავე ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იგი მხოლოდ გადმონაშთია „ცივი ომის“ პერიოდისა და საერთო არა აქვს რა ევროპის ახლანდელ რეალობასთან.

მართლაც, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გათვალისწინებული იყო, რომ ბერლინს, როგორც მოკავშირეების საოკუპაციო ხელისუფალთა სამყოფელს, ერთობლივად უნდა განაგებდეს ოთხი სახელმწიფო. მაგრამ თვით დასავლეთის სახელმწიფოებმა, გაყვეს რა 1948 წელს ბერლინი, მოსპეს ქალაქის ერთობლივად მართვის სისტემა. და მას შემდეგ „მთელი ბერლინის“ ოთხმხრივი სტატუსის თეზისმა დაკარგა ყოველგვარი რეალური აზრი და მას რაინის რეაქციული წრეები იყენებდნენ მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ რევანშისტული პრეტენზიების გასაღივებლად.

ახლანდელ პირობებში, როცა უკანასკნელ წლებში დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა მთელი სერია ემყარება ევროპაში არსებულ პოლიტიკურ რეალობებს, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცხო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ, ეს თეზისი განსაკუთრებით აბსურდულად გამოიყურება. მართლაც, უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ბერლინი სუვერენული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქია. მეორეს მხრივ, დასავლეთ ბერლინს აქვს განსაკუთრებული საერთაშორისო - სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამი წლის წინათ სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულ შეთანხმებაში. „მთელი ბერლინის“ რაღაც ოთხმხრივ სტატუსზე ლაპარაკი კი იმას ნიშნავს, რომ დამახინჯებულად განმარტავდე ამ შეთანხმებას, აბუნდოვანებდე ნათელ საკითხს.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, ავრეთვე იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებულ განცხადებას „მთელი ბერლინის ოთხმხრივი სტატუსის“ შესახებ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მინისტრებთან ერთად ხელი მოაწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმაც. ეს მაშინ, როცა დასავლეთ ბერლინის სტატუსთან და მით უფრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის სტატუსთან დასავლეთ გერმანიას არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არავითარი წილი არ უდევს ავრეთვე ოთხი სახელმწიფოს ხსენებულ შეთანხმებაში.

მხოლოდ ამ შეთანხმების, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების მტკიცე და განუხრელ დაცვას შეუძლია ხელი შეუწყოს ევროპის ვითარების შემდგომ ნორმალიზაციას, მთელი მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას. (საკადესი).

## ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲓᲐᲜ

*ᲛᲝᲙᲚᲔᲓ*

### ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

**ᲐᲖᲘᲔᲗᲘᲓᲐᲜ** და აფრიკიდან ჩამოსული ემიგრანტები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის მთელი მოსახლეობის თითქმის 3 პროცენტს შეადგენენ, აქ „მეორეხარისხოვანი მოქალაქეები“ არიან. მათ ჩვეულებრივ მხოლოდ მძიმე და მცირეხელფასიან სამუშაოზე ქირაობენ, მათ შორის უმუშევართა პროცენტი გაცილებით მეტია, ვიდრე „თეთრკანიანთა“ შორის.

„ფერადკანიანთა“ მეორე უბედურებაა უსახლკარობა. მარტო ლონდონში სამი ათასზე მეტ ახალგაზრდა აფრიკელსა და აზიელს ბინა არა აქვს.

### ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲣᲚᲘ** „მშვიდობის კორპუსი“ ანახლებს თავის საქმიანობას ჩილეში, საიდანაც თავის დროზე გააძევეს ჯაშუშობისა და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მალე სანტიაგოში ჩავა „მოხალისეთა“ პირველი ჯგუფი, რომლებიც იმუშავებენ სახელმწიფო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა ორგანიზაციაში.

ფაშისტურ ხუნტას, რომელმაც ნებადართულად გამოაცხადა „მშვიდობის კორპუსის“ საქმიანობა ჩილეში, განზრახული აქვს მდგომარეობა განმტკიცოს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით.

### ᲙᲐᲛᲑᲔᲠᲐ

**ᲮᲣᲗᲘ** წლის პატიმრობა მიუსაჯეს მელბურნში მილიონერ ჩარლზ ზუკერს. ავსტრალიის ერთ-ერთი კომპანიის ეს 47 წლის დირექტორი ამზადებდა 20 დოლარი ღირებულების ამერიკულ ასიგნაციებს. იმ დროისათვის, როცა ეს ყალბი ფულის მჭრელი დაიპატიმრეს, მან თანამზრახველებთან ერთად უკვე მოასწრო დაახლოებით 12 მილიონი დოლარის „დაბეჭდვა“.

### ᲙᲐᲘᲠᲝ

**ᲥᲐᲚᲐᲥᲘ** ხუეცში გაიმართა ცერემონია, რომლის დროს საძირკველი ჩაუყარეს გვირაბს სუეცის არხის კალაპოტის ქვეშ. გვირაბი გვალვიან სინის ნახევარკუნძულს დაუკავშირებს ნილოსის ხეობის სარწყავ სისტემას. ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ მომავალში ითვისონ ახალი მიწები სინის ნახევარკუნძულზე.

სავაჭრო გემების პირველი ქარავანი უკვე წავიდა სუეცის არხით ხმელთაშუა ზღვისკენ.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲐᲜ

### ᲞᲠᲝᲢᲔᲘᲜᲘ ᲪᲮᲘᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ

**ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ** ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში, რომელიც ახალი საკვები პროდუქტების მიღებაზე მუშაობს, მიკროორგანიზმების საშუალებით ცხიმისაგან ამზადებენ პროტეინს. მიღებული პროტეინისა და ვიტამინის კონცენტრატი თავისი კვებითი ღირებულებით ხორცში შემავალ პროტეინს უტოლდება. უნგრეთში თვითეული ადამიანზე ამ წესით დამზადებული 100 გრამი პროტეინი მოდის. ოთახი-სოდენა ფერმენტორში — 24 საათის განმავლობაში მზადდება იმდენი პროტეინი, რამდენიც შეიძლება მივიღოთ 2500 ჰექტარზე დათესილი სიმინდის ყანიდან ერთი წლის განმავლობაში, წერს „ფოლსშტიმმი

# საქართველოს ზეცა-ჯარში

## კორნელი სანაძის ნაწარმოებთა გამოფენა

**საქართველოს** სახალხო მხატვრის კორნელი სანაძის პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა რესპუბლიკის სახელმწიფო სურათების გალერიაში, წარმოდგენილია 400-ზე მეტი ნამუშევარი: პორტრეტები და გრაფიკული ნაწარმოებები, ნატიურმორტები და პეიზაჟები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ამ შევიწებს მის შემოქმედებას.

ვერნისაჟზე შეიკრიბა მხატვრის ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი.

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ნ. ჯანბერიძემ.

კ. სანაძეს გულთბილად მიესალმნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გ. თოთიბაძე, პოეტი ბ. ფოცხიშვილი, რომელმაც წაიკითხა მხატვრისადმი მიძღვნილი ლექსი.

კ. სანაძის ალზრდილთა სახელით გამოვიდა მხატვარი ე. ამბოკაძე, მისი ნიჭის მრავალი თაყვანისმცემლის სახელით — ქალაქის 27-ე აფთიაქის მმართველი ი. სალუქვაძე.

საქართველოს სახალხო მხატვარმა კ. სანაძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ ყურადღებისათვის, წაიკითხა თავისი ახალი ლექსი.

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

გამოფენის გახსნის დღეს გამოვიდა კ. სანაძის ლექსების კრებული „მზე და ფერები", რომელიც გამომცემლობა „მერანმა" გამოუშვა. ეს არის მხატვრის ლექსების მესამე წიგნი. მასვე ეკუთვნის კომპოზიტორების სანდრო მირიანაშვილისა და ლილი ალშვილის პოპულარული სიმღერების „საყვარელ ჭუჭაზე" და „ბათუმი" ტექსტები. (საქინფორმი).

## გაზი — სოფელს

**ახალციხე.** (საკ. კორ. შ. მაისურაძე). გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს № 6 სამონტაჟო-საექსპლოატაციო ტრესტის (მმართველი რ. ქენქაძე) კოლექტივი წარმატებით იბრძვის მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. კოლექტივმა ხუთი თვის დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა, დაამონტაჟა 324 ცალი გაზქურა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ცალისა, მომხმარებელს მიაწოდა 2.820 ტონა თხევადი გაზი, ნაცვლად 2.440 ტონისა.

კოლექტივის ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს იმ სამონტაჟო-საექსპლოატაციო უბნებმა, რომელთაც ი. კაპანაძე, ი. ხატიძე, მ. ხარატურიანი, ბ. ჭიკაიძე ხელმძღვანელობენ.

## დაფასებული შრომა

**სოხუმი.** (საკ. კორ.). დაბადების მე-60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის მე-40 წლისთავი შეუსრულდა აფხაზური თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელსა და განმავითარებელს, გამოჩენილ აფხაზ მსახიობს, დრამატურგსა და რეჟისორს, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტს შარან ფაჩალიას.

ამ თარიღს მიეძღვნა შემოქმედებითი საღამო, რომელიც სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

შ. ფაჩალიას გულთბილად მიესალმნენ და მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს, სპეციალურმა ნაწყვეტები წარმოადგინეს მისმა მეგობარმა მსახიობებმა. მასვე მიართვეს მისასალმებელი ბარათები. იუბილარის მისამართით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან მრავალი დეპეშა მოვიდა.

ქალის საერთაშორისო წლისათვის

# ხოტბა ვთქვათ ნახელავისა

ამ დღეს ნანა განსაკუთრებით თავს ველებოდა თავის „შვილობილებს", ალერსით ეალაპარაკებოდა, სწმენდდა, აკრიალებდა; განა ხუმრობა საქმეა, სასტუმროდ, საზეიმოდ ამზადებდა და მერე რამდენ ხალხს ელოდა. ბოტკოველის, ახალი ქართული კერამიკული ხელოვნების ამ ნიჭიერი წარმომადგენლის პერსონალური გამოფენისადმი ინტერესი ხომ ყოველთვის დიდია!

სულ ამ სამიოდე წლის წინათ, სწორედ აქ, ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო ნანა ბოტკოველის კერამიკული ნამუშევრების მეორე პერსონალური გამოფენა, და ამჯერად

უკვე მეხუთე პერსონალური — მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მეათე წლისთავის ერთგვარი ანგარიში. ამასთანავე ნანამ ეს გამოფენა ობმი დალუპული მამის, კაპიტან ვლადიმერ ბოტკოველის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

გამოფენის ცენტრში კვლავ საზეიმოდ მორთული ყელმოღერებული, მაღალი დეკორაციული დოქები „ნეფეპატარძალი" დაბრძანებულან. წინ საგალობელის შესასმელად მათთვის შესაფერისი ვეებერთელა თასი დაუდგამთ, ნანას საყვარელი სამკაულებით — ვერძებითა და მზის ემბლემებით დაძერწილ-შემკობილი. ირგვლივ დარბაზში კი ახალი, განსაკუთრებით საჩინო „სტუმრები" მოუწვევიათ, თუმცა არც ზოგიერთი, მათთვის საყვარელი „მოკეთენი" დავიწყებიათ, წინა გამოფენაზე რომ ახლდათ.

ათი წელი ხელოვანის შემოქმედებაში არც ისე დიდი დრო, მაგრამ აბა ნანას ნადვაწს — ამ მონუმენტურ კერამიკას გადახედეთ: რამდენი რამ მოუსწრია და შეუქმნია გარეგნობით სუსტ, ნაზ ქალს, ვაკაცური ძლიერი მარჯვენის, უშრეტი ენერგიისა და ბედამ სიახლის, პოეტური მშვენიერების მაძიებელს. მისმა ნამუშევრებმა ხომ რამდენჯერმე შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

„ნეფე-დედოფლის" მოპირდაპირე მხარეს, სავანგებოდ წამორნილი „სტუმრებს" — ქართული ორნამენტებით დაძერწილ, ათასფერად დაფერილ დოქებსა, მარნებსა, დეკორაციულ თეფშებსა და სახილეებს შორის გამოჩრჩევა მაღალი, მდიდრული „ტანსაცმლით" შემკული „უფლისწული" — შავი კრიალა დოქი რელიეფურად ნაძერწი მაღალი ორნამენტითა და ფირუზისფერი ჭიქურით დაფერილი. საზეიმო „წვეულებაა" და დარბაზშიც უხვად არის საზეიმო მარნები, თასები, მაყლები, საქორწილე სალუდე ტოლჩები, „ნეფე-დედოფლის" ფეხიანი მარნები...

ნანა ბოტკოველზე ადრეც ვამბობდით, რომ ის უბრალო თიხას მუშაობს პროცესში ისეთი სიყვარულით უდგება, იმდენად ხელეწვას, მაღალ პროფესიულ დონეზე აპყავს, რომ თავისებურად აცოცხლებს და ნათლავს კიდეც. ეი „ვეფხისტყაოსნის" გმირები — „ნესტანი", „ასმათი", გვირგვინოსანი „თამარი" — შავკრიალა დოქები ქალის სატკბილთა და ფერადი სამკაულებით დაძერწილ-შემკობილი.

ნანამ გამოფენაზე მეტად საინტერესო ნამუშევრები გამოიტანა, ეს ბალავთ კედლის კერამიკული მედალიონები და ფრესკული ნახატით დამშვენებული დეკორაციული თეფშები, თასები, კერამიკული მედალიონი ადრე, წინა გამოფენაზეც ჰქონდა, მაგრამ ამჯერად პორტრეტების მთელი სერია შექმნა. შეუძლებელია არ აღგაფრთოვანოს ტერაკოტაზე წერნაქით შესრულებულმა პორტრეტებმა. ესენია: ბუნების მგოსანი „ვაჟა-ფშაველა", გალაკტიონის „მე და ღამე" „მერი", „ლადო გუდიაშვილი", „შალვა აბირანაშვილი", „მურმანი", „მარგალიტის მძივებით დამშვენებული „ეკატერინე ჭავჭავაძე", „ლილი", „გაზაფხული" და სხვ.

კერამიკისი ქალი ფერწერითაც არის ვატაცებული. ამას გამოფენაზე ექსპონირებული მისი აქვარელური პორტრეტები მოწმობს. ფერწერით გატაცება მის კერამიკასაც იგრძნობა.

გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში ნანას ხელოვნებას მაღალ შეფასებას აძლევენ ლადო გუდიაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, ბოტკოველის ხუთივე პერსონალური გამოფენის ექსპოზიციის ავტორი კ. ჭანკვეთაძე, აგრეთვე ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები.

**ლარისა ხუბულური.**

**სურათებზე:** *კერამიკული მედალიონები — „ეკატერინე ჭავჭავაძე", „ვაჟა-ფშაველა", „მე და ღამე".*

## VI სპარტაკიადა • VI SPARTAKIADA • VI SPARTAKIADA • VI SPARTAKIADA